სამაგისტრო პროგრამის დასახელება:

<u>გენდერის კვლევები (Master's Program in Gender Studies)</u>

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

გენდერის კვლევის მაგისტრი

Master of Social Sciences in Gender Studies

სამაგისტრო პროგრამის ავტორები: ნინო ჯავახიშვილი, თამარ ცხადაძე, მარინე ჩიტაშვილი

პროგრამას ადმინისტრირებას უწევს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, დირექტორი მარინე ჩიტაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელი (foreign academic supervisor): ჯოანა რეგულსკა, რათგერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა და გენდერის კვლევების დეპარტამენტის პროფესორი, საერთაშორისო პროგრამების დეკანი (ნიუ-ჯერსი, აშშ).

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევებში არის ამ დარგში პირველი და ერთადერთი სამაგისტრო პროგრამა მთელ კავკასიაში. პროგრამის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, რატგერსის უნივერსიტეტსა (აშშ, ნიუ ჯერსი) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ბუდაპეშტი) გენდერის კვლევის პროგრამებს შორის. პროგრამა ფინანსდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ღია საზოგადოების ინსტიტუტის გრანტის ფარგლებში. გენდერის კვლევების ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო განათლება სოციალურ მეცნიერებებში; შეისწავლონ გენდერული თანასწორობის საკითხები სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში, ქალთა უფლებების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები, ფემინისტური თეორიები.

- **პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მიზნად ისახავს:**
  - მისცეს სტუდენტებს უახლესი ცოდნა გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ:
  - განუვითაროს მათ კვლევისა და ანალიზის უნარი;
  - მოამზადოს ისინი გენდერის საკითხებზე პრაქტიკული მუშაობისათვის.

სტუდენტებს ასწავლიან და ხელმძღვანელობენ თსუ-ს პროფესორები, აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) ლექტორები, საერთაშორისო და ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილების მქონე პროფესიონალები. სტუდენტებისათვის ლექციებსა და ინტენსიურ კვლევით სემინარებს ატარებენ ევროპისა და ამერიკის მოწინავე უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორები.

- **პროგრამის სტრუქტურა:**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი და ეძლევა ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისი დიპლომის დანართი. სწავლის ხანგრძლივობაა 1.5 წელიწადი (18 თვე - 2009 წლის 1 სექტემბერი - 2011 წლის 28 თებერვალი), ანუ ოთხი აკადემიური სემესტრი. ხარისხის მინიჭების პირობაა 120 კრედიტის (ECTS) დაგროვება სასწავლო კურსებით (80 კრედიტი), კვლევითი სემინარითა და პრაქტიკით (10 კრედიტი), სამაგისტრო შრომით (30 კრედიტი).

პროგრამის კურიკულუმი ოცამდე სალექციო კურსსა და სემინარს მოიცავს. მათ შორისაა:

მოსამზადებელი კურსები: აკადემიური წერა და პრეზენტაციის უნარები; საინფორმაციო ტექნოლოგიები

სავალდებულო კურსები: გენდერისა და ფემინისტური თეორიის საფუძვლები; ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები; კვლევის მეთოდები; პოლიტიკის ანალიზი; ფემინისტური ფილოსოგია; აგენტობა, სუბიექტურობა და ცვლილება; შრომის გენდერული პრობლემები; გენდერი და განვითარება.

არჩევითი კურსები: გენდერი და შრომითი მიგრაცია; ქალი მისტიკოსები და შუასაუკუნეების ევროპული მენტალობა; კულტურა და იდენტობა; ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა; გენდერი და ფსიქოანალიზი; გენდერის სოციალურ და პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა; მასკულინობა და ფემინურობა შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში; კვლევის ეთნოგრაფიული მეთოდი; გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში; გენდერი და გლობალიზაცია.

სწავლებისას ყურადღება ეთმობა სტუდენტებში დებატების კულტურის, აკადემიური წერის, პროექტებზე ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას.

- **აკადემიური რესურსები** - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა თანამედროვე და კლასიკური სამეცნიერო ლიტერატურის სოლიდური ფონდით (6000 ტომი, მათგან 800 გენდერის კვლევებში); აკადემიური ჟურნალების ელექტრონული არქივები (EBSCOHost, Cambridge University Journals); სავალდებულო და დამხმარე საკითხავი ლიტერატურის კრებულები; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში მომზადებული საგანმანათლებლო მასალა. სტუდენტების სწავლას, შემოქმედებით აზროვნებას, ცოდნისა და იდეების გაცვლას ხელს უწყობს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კომფორტული საკლასო ოთახები, კომპიუტერების კლასი მუდმივი სწრაფი ინტერნეტით.
- **პრაქტიკა** - პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებში. პრაქტიკა სტუდენტებს აძლევს სწავლით მიღებული ცოდნის ცხოვრებაში დანერგვის, გამოცდილების შეძენის, ინტერესთა სფეროსა და კონტაქტების ქსელის გაფართოების საშუალებას.

- **სწავლის შედეგი**

ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	ზოგადი / ტრანსფერული უნარები
სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობს გენდერის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს, გენდერში სამეცნიერო კვლევის ჩატარებისა და დამუშავების ხერხებს და შეუძლია ჩაატაროს სრულფასოვანი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევა გენდერის სფეროში. აქვს უნარი როგორც წერილობით, ისე ვერბალურად წარმოადგინოს საკუთარი კვლევის შედეგები და შეუძლია გამოიყენოს გენდერული პერსპექტივა ნებისმიერი საკითხის პრობლემური ანალიზისას.	გენდერული და ფემინისტური თეორიების ცოდნა და მათ შორის ურთიერთმიმართების დამყარება, მათი შედარება ფემინისტური და გედნერული მოძრაობის ისტორიისა და ამჟამინდელი მდგომარეობის ცოდნა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობის ცოდნა და ამ აქტივობებში მონაწილეობა სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების ცოდნა და მათი სათანადო გამოყენება გენდერის პრობლემების კვლევისას	კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების და მისი შედეგების წარმოდგენის უნარი ზეპირი პრეზენტაციის უნარი სათანადო კომპიტერული პროგრამის გამოყენებით დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის უნარი ჯგუფში მუშაობის უნარი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ტექსტების გაგების და კრიტიკული აღქმის უნარი

- **დასაქმების შესაძლებლობები -** პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევარებად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია, გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საგანაცხადო ფორმის შევსება. საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა ცენტრის საგანაცხადო ფორმაში აუცილებელია მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B1 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა (ენის ტესტი ჩატარდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე)
- კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება დამატებითი წერითი გამოცდისა და სპეციალურ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე (საგამოცდო საკითებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ვებგვერდზე. საკითხავი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება დისკებზე ცენტრის სტუდენტების დეკანისგან).
- გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

    - წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %) – 22 ივნისი (I ეტაპი); 31 ივლისი (II ეტაპი)
    - ინგლისური ენის ტესტი - B1 დონე (20%) – 23 ივნისი (I ეტაპი); 30 ივლისი (II ეტაპი)
    - გასაუბრება (40 %) – 26 ივნისი (I ეტაპი); 31 ივლისი (II ეტაპი)
    - საერთო სამაგისტრო გამოცდები - უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური მოთხოვნა - ივლისი.

საბუთების მიღება

- 27 აპრილი – 25 მაისი – რეგისტრაცია საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის. დეტალური ინფორმაცია იხ. www.naec.ge
- 15 მაისი - 15 ივნისი (პირველი ეტაპი) 15 ივნისი - 27 ივლისი (მეორე ეტაპი) საბუთების მიღება CSS-ში. სამუშაო დღეები, 10:00-18:00 სთ. (ამობეჭდილი განაცხადის გარდა, გთხოვთ შეავსოთ on-line რეგისტრაციის ფორმაც. განაცხადის ფორმას მიიღებთ სტუდენტების დეკანისგან) . თსუ II კორპუსი, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #3, III სართული, ოთახი #338

ცენტრის გამოცდების შედეგები გამოცხადდება ივლისის პირველ კვირაში (I ეტაპი); აგვისტოს პირველ კვირაში (II ეტაპი). საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიღებული იქნება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #3, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსი, III სართული, ოთახი #338 ტელეფონი: (+995 32) 252781 / 102781; ფაქსი: (+995 32) 29 13 34 ;

ელ. ფოსტა: mmikaberidze@ucss.ge ; www.ucss.ge

დაფინანსება

პროგრამაზე მიღებული ხუთი საუკეთესო კანდიდატის სწავლი საფასურს სრულად აანაზღაურებს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (OSI, HESP) გრანტი. გათვალისწინებულია წამახალისებელი სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისთვის.

www.ucss.ge სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში

ხარისხი: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი (MSocSc).

პროგრამის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი (თითო 15 კვირიანი) - 1.5 კალენდალური წელიწადი.

პროგრამის დასრულების მოთხოვნა: 120 ECTS კრედიტი.

პროგრამის კურიკულუმი

2009-10 სასწავლო წელი

მოსამზადებელი კურსები				
#	კურსის/სემინარის დასახელება	საუდიტორიო სთ	კრედიტიECTS	თარიღი
	აკადემიური წერა და პრეზენტაციის უნარები *(თამარ ცხადაძე)*	45	ჩათვლა	01.09 - 22.09.2009
	საინფორმაციო ტექნოლოგიები *(თამარ ცხადაძე)*	15	ჩათვლა	01.09 - 22.09.2009
პირველი სემესტრი	*(სექტემბერი 23, 2009 - იანვარი 18, 2010. 15 კვირა)*			
სავალდებულო კურსები				
#	კურსის/სემინარის დასახელება	საუდიტორიო სთ	კრედიტიECTS	თარიღი
1.1	გენდერისა და ფემინისტური თეორიის საფუძვლები *(მედო ბადაშვილი)*	60	10	23.09 - 25.12.2009 04.01 - 19.01.2010
1.2	კვლევის მეთოდები *(ნინო ჯავახიშვილი, თამარ თანდაშვილი)*	60	10	23.09 - 25.12.2009 04.01 - 19.01.2010
1.3	ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები *(თამარ საბედაშვილი)*	30	5	23.09 - 25.12.2009 04.01 - 19.01.2010
1.4	შრომის გენდერული პრობლემები *(ლელა ქირია)*	30	5	23.09 - 25.12.2009 04.01 - 19.01.2010
არჩევითი კურსები				
1.5	ქალი მისტიკოსების როლი შუასაუკუნეების ევროპული მენტალობის ისტორიაში *(თამარ ცოფურაშვილი)*	30	5	23.09 - 25.12.2009 04.01 - 19.01.2010
1.6	გენდერი და შრომითი მიგრაცია *(თამარ ზურაბიშვილი)*	30	5	23.09 - 25.12.2009 04.01 - 19.01.2010
სასესიო კვირა 12-19 იანვარი, 2010				
კრედიტების რაოდენობა პირველ სემესტრში			35	

მეორე სემესტრი			*(თებერვალი 8 - მაისი 24, 2010; 15 კვირა)*	
		სავალდებულო კურსები		
2.1	ფემინისტური ფილოსოფია *(თამარ ცხადაძე)*	60	10	08.02 - 24.05.2010
2.2	აგენტობა, სუბიექტურობა და ცვლილება *(მედო ბადაშვილი)*	30	5	08.02 - 24.05.2010
2.3	პოლიტიკის ანალიზი *(ნანი მაჭარაშვილი)*	30	5	08.02 - 24.05.2010
2.4	გენდერი და განვითარება *(თამარ საგედაშვილი)*	30	5	08.02 - 24.05.2010
		არჩევითი კურსები		
2.5	კულტურა და იდენტობა *(ლიკა წულაძე)*	30	5	08.02 - 24.05.2010
2.6	ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა *(სალომე ცოფურაშვილი)*	30	5	08.02 - 24.05.2010
2.7	გენდერი და ფსიქოანალიზი *(მარინე ჩიტაშვილი)*	30	5	08.02 - 24.05.2010
2.8	გენდერის სოციალურ და პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა *(ლელა გაფრინდაშვილი)*	30	5	08.02 - 24.05.2010
		სასესიო კვირა 25 მაისი - 1 ივნისი, 2010		
კრედიტების რაოდენობა მეორე სემესტრში		**35**		
მესამე (ზაფხულის) სემესტრი. ინტენსიური კურსები 7 კვირის განამვლობაში			*(ივნისი 2 - სექტემბერი 20, 2010; 15 კვირა)*	
		სავალდებულო კურსები		
3.1	კვლევითი სემინარი	30	5	02.06 - 20.09.2010
3.2	სასწავლო პრაქტიკა	30	5	02.06 - 20.09.2010
		არჩევითი კურსები		
3.3	მასკულინობა და ფემინურობა შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში *(თამარ ცოფურაშვილი)*	30	5	02.06 - 20.09.2010
3.4	კვლევის ეთნოგრაფიული მეთოდი *(თინათინ ზურაბიშვილი)*	30	5	02.06 - 20.09.2010
3.5	გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში *(თამარ ცხადაძე)*	30	5	02.06 - 20.09.2010
3.6	გენდერი და გლობალიზაცია *(ლელა ქირია)*	30	5	02.06 - 20.09.2010
კრედიტების რაოდენობა მესამე სემესტრში		**20**		
მეოთხე სემესტრი				
4.1	სამაგისტრო ნაშრომი		30	27.09.2010 - 14.01.2011
კრედიტების რაოდენობა მეოთხე სემესტრში	**30**		**30**	
<u>სულ კრედიტების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამისათვის</u>			**<u>120</u>**	